

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად

შპს „ტელერადიოცენტრის“ ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით უარი მოსაზრების გაცემაზე შპს „ტელერადიოცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 1 ივნისის და გავებით შესაბამისი დასკვნა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2021 წლის 01 ივნისის წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გამოვთქვით უარი ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გაცემაზე და ეს საკითხი ყოვლისმომცველია, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ :

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 01 ივნისი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელი

შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრი”

ს/კ 203829250

შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია სახელმწიფო, სსიპ “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” სახით, სახელმწიფოს 100%-იანი წილით. წარმოება რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში (რეგისტრაციის თარიღი 2000 წლის 25 სექტემბერი, რეგისტრაციის #06/4-464).

შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრი” წარმოადგენს შპს “საქართველოს ტელეცენტრი”-ს, შპს “საქართველოს რადიოცენტრი”-ს და შპს „ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელმშეშლებზე დაკვირვების სამსახური“-ს შერწყმის შედეგად შექმნილ საზოგადოებას და შპს “ალფა-კომი”-ს სამართალმემკვიდრეს.

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი.მთაწმინდა.

ფუნიკულიორის ზედა პლატო

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი.მთაწმინდა.

ფუნიკულიორის ზედა პლატო

დირექტორი: გიორგი დეკანოსიძე

ტელ: 577465555

შინაარსი

თავი 1. ძირითადი საქმიანობა

თავი 2. განვითარების პერსპექტივები

თავი 3. სოციალური და დასაქმების საკითხები

თავი 4. საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თავი 5. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

თავი 6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

თავი 1. ძირითადი საქმიანობა

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ტელერადიო პროგრამების მიღება-გადაცემა; საეთერო მაუწყებლობის, რადიოკავშირების, მაღალსიხშირული მოქმედი რადიოელექტრონულ საშუალებათა და რადიოსიხშირული საკაბელო სისტემების ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების უზრუნველყოფა; დამკვეთის სიხშირულ სპექტრში ხელმშეშლების წარმომქმნელი, გამომსხივებელი წყაროების გამოვლენა და ადგილმდებარეობის დადგენა; სპეციალური რადიოტექნიკური და სანიტარული გაზომვების ჩატარება.

თავი 2. განვითარების პერსპექტივები

კომპანია ფუნქციონირებს გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემოსავლების სტაბილურობას საფინანსო წლის განმავლობაში. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების განვითარებაზე ინციდენტური ფლუქტუაციები შეინიშნებოდა 2015 - 2016 წლებში, ახალი ციფრულ ტელემაუწყებლობის ფორმატის ცვლილების პროექტის დანერგვის გამო.

აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობის გადასვლის პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა სამუშაოებმა და ახალი სისტემის ტექნიკურმა ცვლილებებმა პირდაპირი ეფექტი იქონიეს კომპანიის საქმიანობაზე. კერძოდ, 2015 წლის განმავლობაში შპს „საქართველოს ტელევიზია“ ახორციელებდა მაუწყებლობას, როგორც ანალოგიური ქსელით ასევე ციფრული ქსელითაც, რაც იწვევდა ხარჯების მკვეთრ ზრდას. სიმულკასტის (პარალელურ რეჟიმში ციფრული და ანალოგური სისტემების მუშაობა) პერიოდში კომპანიის შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა, რადგან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ ტელერადიოცენტრის მიერ გაწეული მომსახურეობა ხორციელდებოდა უფასოდ. ორმაგი რეჟიმით მუშაობამ საგრძნობლად გაზარდა კომპანიის ხარჯები, შემოსავლებთან მიმართებაში. სიმულკასტის პერიოდის გავლის შემდეგ პროცესები დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას. 2015 ფინანსური წელი დასრულდა 2,5 მილიონი ზარალით.

პროექტის ფარგლებში, ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის მეორე ეტაპის სამუშაოები ფართოდ გაიშალა 2016 წლის თებერვლიდან. სამუშაოების მკაცრად განსაზღვრულ ვადებში დასრულების მიზნით ანძების, სარელო დგარებისა და შელტერების მშენებლობა მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და რთულად მისასვლელ ადგილებში, რისთვისაც გამოყენებული იქნა დამატებითი რესურსები, რამაც პირდაპირი ეფექტი იქონია კომპანიის ხარჯების ნაწილზე. მთლიანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ივლისის ბოლოს. 2016 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის კი დამთავრდა სამონტაჟო საინსტალაციო სამუშაოები 110 სატელევიზიო რეტრანსლატორისთვის.

საერთო ჯამში ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის მეორე ეტაპის სამუშაოების ფარგლებში ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისა და არსებული ინფრასტრუქტურის დახვეწის მიზნით 2016 წელს განხორციელდა შემდეგი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები:

1. ახალი სატელევიზიო-სარეტრანსლაციო ანძების მშენებლობა - 72 ერთეულის ოდენობით (მათ შორის: 67 ერთეული - 16 მ სიმაღლის და 5 ერთეული - 18 მ სიმაღლის).
2. აპარატურის განსათავსებელი ლით. ჯიხურების (ე.წ. შელტერების) მშენებლობა - 92 ერთეულის ოდენობით.
3. ახალი სატელევიზიო – სარელეო დგარების მშენებლობა – 13 ერთეულის ოდენობით (მათ შორის: 4 ერთეული - 8 მ სიმაღლის; 2 ერთეული - 10 სიმაღლის; 3 ერთეული - 12 მ სიმაღლის; 18 ერთეული - 18 მ სიმაღლის და 1 ერთეული - 20 მ სიმაღლის).
4. ახლადშექმნილი საიტების დამიწების კონტურების მოწყობა – 84 საიტის ოდენობით.
5. ახლადშექმნილი საიტების შემოღობვა – 21 საიტის ოდენობით.
6. სარეტრანსლაციო ანტენების სამაგრების დამზადება–მონტაჟი – 110 კომპლექტის ოდენობით.
7. სარელეო ანტენების სამაგრების დამზადება მონტაჟი – 52 კომპლექტის ოდენობით.

პროექტის განხორციელების შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების მიღების შესაძლებლობა მიეცა რთულ, მთაგორიან რეგიონებში დასახლებულ მოსახლეობის დიდ ნაწილს, რაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 8 პროცენტს შეადგენს. მთლიანად კი ამჟამად აღნიშნული სატელევიზიო პროგრამების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფილია საქართველოს მოსახლეობის 98%.

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრი” ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლის პირველ და მეორე ეტაპზე გაწეული სამუშაოების სრულყოფის მიზნით კვლავ განაგრძობს საკვლევ-საძიებო სამუშაოებს.

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლამ გამოიწვია განსაზღვრული საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილება, რამაც პირდაპირი ეფექტი იქონია შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრი”-ს შემოსავლებზე, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის #206 განკარგულების მიხედვით: ანალოგიური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმის შესაბამისად გაიმიჯნა ტელერადიომაუწყებლობა/სატელევიზიო კონტენტის წარმოების საქმიანობა, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების უზრუნველყოფის საქმიანობისგან. მისი რეგულაცია დაექვემდებარა საქართველოს კანონს ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ. კანონი არეგულირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების უზრუნველყოფასთან და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსების მართვასა და გაცემის წესებს. (მოცემული არ ეხება რადიომაუწყებლობის რეგულირებას). აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე დაწესდა შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს პირველ რიგში კომერციული ოპერატორის მულტიპლექსების დატვირთვას. ეს

ნიშნავს, რომ შპს “საქართველოს ტელერეადიოცენტრი” ვერ გაყიდის თავის მომსახურებას კომერციული მულტიპლექსების შესაძლებლობის ამოწურვამდე. აღნიშნულმა შეზღუდვებმა გამოიწვია საოპერაციო შემოსავლების შემცირება 2015 - 2016 -2017-2018-2019-2020 წლებში.

2020 წლის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს 98 კონტრაქტორი. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა კონტრაქტორებთან მოლაპარაკებები იძლევა იმის საფუძველს, რომ ახლო პერსპექტივაში კომპანიამ უზრუნველყოს შემოსავლების სტაბილურად ზრდა. მულტიპლექსის შემდგომი დატვირთვა კი იძლევა შემოსავლების უფრო სწრაფად ზრდის პერსპექტივასაც. მოსალოდნელია 2021 წელს მოხდეს მისი სრული დატვირთვა, რაც თავის მხრივ გაზრდის კომპანიის შემოსავლებს, არსებულ საოპერაციო ხარჯებთან შეფარდებით.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, კომპანიამ განახორციელა დაახლოებით 17 მილიონი ლარის ინვესტირება ძირითად საშუალებებში. აღნიშნული ინვესტიცია დაფინანსდა პარტნიორის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალის გაზრდით. კერძოდ კომპანიის კაპიტალი 2013 წელს გაზრდილ იქნა 10,000,000 ლარით და 2014 წელს - 7,000,000 ლარით .

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია :

- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლის მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- არამატერიალური აქტივების- ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება;

თავი 3. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას უსაფრთხოების წესებს. სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა, მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

ხელმძღვანელობა მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)“ რატიფიცირებულ 16 კონვენციას.

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, თანამშრომლებისათვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. მიზანი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრენინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით. ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება მათთვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და ორგანიზაციის „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

ორგანიზაციის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესი რაოდენობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების დასაქმება. რადგან ორგანიზაციის სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ორგანიზაცია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და ფრეფორმებს. ორგანიზაციის თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

ორგანიზაციას არსებობის განმავლობაში არ აქვს გამოცდილება, დასჭირვებოდა ანტიკორუფციულ ქცევასთან დაკავშირებული რაიმე სამართლებრივი ღონისძიებები.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი 4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტი:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი აქტივები}} = \frac{2\,308\,446}{2\,086\,549} = 0.95$$

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{-14\,766\,165}{53\,392\,027} = -0.28$$

2020 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\text{აქტივების ბრუნვა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{4\,718\,473}{38\,721\,089} = 0.12$$
$$\text{ძ.ს. გამოყენების ინტენსივობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.ს. ღირებულება}} = \frac{4\,718\,473}{36\,412\,643} = 0.13$$

თავი 5. - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგრნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ორთჯერ)
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ და მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოსა დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტი სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი 6. - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წამოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ

მიღებულ ავანსს მიმემართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

დირექტორი;

გიორგი დეკანოსიძე

01.06.2021 წელი

მიღებულ ავანსს მიმემართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

დირექტორი;

გიორგი დეკანოსიძე

01.06.2021 წელი



ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ (შემდეგში კომპანია) **მენეჯმენტი პასუხისმგებელია** ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დაცვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(ფასს) თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულიაა ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ:

- ყველა საბუღალტრო წიგნი, ჩანაწერი და შესაფერისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აუდიტორებისათვის
- ფინანსური ანგარიშგება შედგენილიაა, შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საფუძვლის შესაბამისად.
- ყველა ოპერაცია აღრიცხული და ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.
- შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებისათვის.
- კანონებთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა აუდიტორს.
- ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას შეუძლია საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- დირექტორებს არა აქვთ ისეთი გეგმები, რომლებიც არსებითად შეცვლის

აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს ან კლასიფიკაციას ფინანსურ ანგარიშგებაში.

- არ არსებობს პროდუქციის საწარმოო ხაზების მიტოვების გეგმები, რაც გამოიწვევდა მარაგის სიჭარბეს ან მოძველებას.
- საანგარიშგებო თარიღის ყველა შემდეგი მოვლენის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა აუდიტორს და სათანადოდ აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.
- არ მომხდარა რაიმე დარღვევა ხელმძღვანელობის ან იმ თანამშრომლების მონაწილეობით, რომელთაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

-

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის მხრიდან 2021 წლის –10 თებერვალი— დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

_____გ.დეკანოზიძე

მთავარი ბუღალტერი

_____დ.იანტხელიძე

- შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებისათვის.
- კანონებთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა აუდიტორს.
- ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას შეუძლია საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმო.
- დირექტორებს არა აქვთ ისეთი გეგმები, რომლებიც არსებითად შეცვლის აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს ან კლასიფიკაციას ფინანსურ ანგარიშგებაში.
- არ არსებობს პროდუქციის საწარმოო ხაზების მიტოვების გეგმები, რაც გამოიწვევდა მარაგის სიჭარბეს ან მოძველებას.
- საანგარიშგებო თარიღის ყველა შემდეგი მოვლენის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა აუდიტორს და სათანადოდ აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.
- არ მომხდარა რაიმე დარღვევა ხელმძღვანელობის ან იმ თანამშრომლების მონაწილეობით, რომელთაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მენეჯმენტის მხრიდან 2021 წლის 10 თებერვლიდან — დამტკიცებულია შემდეგი პირობის მიერ.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



_____ გ.დეკანოსიძე
 _____ დ.იანტბელიძე

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	17
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	18
5 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18
6 სასაქონლო მატერიალური მარაგი	19
7 გადახდილი აგანსები	19
8 საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	19
9 ფიქსირებული აქტივები	19
10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
11 საწესდებო კაპიტალი	20
12 საოპერაციო შემოსავალი	20
13 მომსახურების თვითღირებულება	20
14 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	20
15 გადასახადები	20
16 სხვა საოპერაციო ხარჯი	21
17 პირობითი ვალდებულებები	21
18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	22
19 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	25
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი დეკანოზიძე
დირექტორი

დარეჯან იანტელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი დეკანოზიძე
დირექტორი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021



დარეჯან იანტბელიძე
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" მფლობელებსა და ხელმძღვანელობას****უარი მოსაზრების გამოთქმაზე**

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრებაზე გამოთქმაზე უარის საფუძველი

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია ექსპერტის მიერ და ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეფასებული სამართლიანი / რეალური ღირებულება წარედგინა როგორც პირობითი საწყისი ღირებულება. მიუხედავად ამისა, ექსპერტის მიერ გაცემული შეფასების დასკვნა არ პასუხობს შეფასებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და სტანდარტებს, საერთაშორისო შეფასების სტანდარტების და "ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება"-ის მიხედვით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულების შესახებ, რომლის საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 36,356,518 ლარს და გადაფასების რეზერვი - 25,254,519 ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან მიმართებით, ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის ელემენტებში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1,695,462 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნულთან დაკავშირებით მესამე მხარის დასტურების მოპოვება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნების დადასტურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ არსებით მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში.

სხვა გარემოებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება 2020 წლის 20 მაისს. პირობითი მოსაზრების გამოთქმის საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ კომპანიას იმ უიმედო დებიტორული დავალიანებებისთვის, რომელიც წარმოშობილი იყო 2017 წლამდე არ ქონდა შექმნილი შესაბამისი რეზერვის ანგარიში და არ იყო ასახული მოგება-ზარალის ანგარიშზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 1 ივნისი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019*	1-იან-2019*
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	221,897	74,170	94,863
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	1,695,462	1,864,173	1,609,574
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	255,365	148,831	182,277
გადახდილი ავანსები	7	111,809	-	-
საგადასახადო აქტივი	8	23,913	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		2,308,446	2,087,174	1,886,714
მიწის ნაკვეთები	9	12,146,255	12,145,805	12,144,105
შენობა-ნაგებობები	9	4,373,194	4,407,745	4,436,963
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	9	19,837,069	20,812,555	21,566,987
არამატერიალური აქტივები	9	56,125	68,317	80,509
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,412,643	37,434,422	38,228,564
სულ აქტივები		38,721,089	39,521,596	40,115,278
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	95,227	95,730	94,345
მოკლევადიანი სესხი		-	101,598	-
საგადასახადო ვალდებულებები	8	-	3,773	19,200
სულ მიმდინარე ვალდებულებები		95,227	201,101	113,545
გადავადებული გადასახადები		-	-	212,429
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	212,429
სულ ვალდებულებები		95,227	201,101	325,974
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	28,137,508	28,137,058	28,135,358
დაუფარავი ზარალი		(14,766,165)	(14,071,082)	(13,600,573)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		25,254,519	25,254,519	25,254,519
სულ საკუთარი კაპიტალი		38,625,862	39,320,495	39,789,304
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,721,089	39,521,596	40,115,278

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2019 და 2018 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოზიძე

დირექტორი

დარეჯან იანტელიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019*	1-იან-2019*
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	221,897	74,170	94,863
მოთხოვნები მიწოდებებიდან და მომსახურებიდან	5	1,695,462	1,864,173	1,609,574
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	255,365	148,831	182,277
გადახდილი ავანსები	7	111,809	-	-
საგადასახადო აქტივი	8	23,913	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		2,308,446	2,087,174	1,886,714
მიწის ნაკვეთები	9	12,146,255	12,145,805	12,144,105
შენობა-ნაგებობები	9	4,373,194	4,407,745	4,436,963
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	9	19,837,069	20,812,555	21,566,987
არამატერიალური აქტივები	9	56,125	68,317	80,509
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,412,643	37,434,422	38,228,564
სულ აქტივები		38,721,089	39,521,596	40,115,278
ვალდებულებები				
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	95,227	95,730	94,345
მოკლევადიანი სესხი		-	101,598	-
საგადასახადო ვალდებულებები	8	-	3,773	19,200
სულ მიმდინარე ვალდებულებები		95,227	201,101	113,545
გადავადებული გადასახადები		-	-	212,429
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	212,429
სულ ვალდებულებები		95,227	201,101	325,974
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	28,137,508	28,137,058	28,135,358
დაუფარავი ზარალი		(14,766,165)	(14,071,082)	(13,600,573)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		25,254,519	25,254,519	25,254,519
სულ საკუთარი კაპიტალი		38,625,862	39,320,495	39,789,304
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,721,089	39,521,596	40,115,278

* ზოგიერთი ნაწილები თანხა არ შეესაბამება 2019 და 2018 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოზიძე
დირექტორი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021



დარეჯან იანტბელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019*
საოპერაციო შემოსავალი	12	4,712,834	4,692,153
სულ შემოსავალი		4,712,834	4,692,153
მომსახურების თვითღირებულება	13	(2,941,434)	(3,112,916)
საერთო მოგება/ზარალი		1,771,400	1,579,237
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(550,321)	(303,607)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(1,235,976)	(1,232,298)
გადასახადები	15	(271,269)	(277,702)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(233,130)	(336,088)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,290,696)	(2,149,695)
საოპერაციო მოგება		(519,296)	(570,458)
არასაოპერაციო შემოსავალი		5,639	157,204
არასაოპერაციო ხარჯი		(3,175)	(90)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის (ზრდა) / შემცირება	5	(177,887)	(57,165)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(694,719)	(470,509)
მოგების გადასახადი		(364)	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(695,083)	(470,509)

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2019 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოსიძე

დირექტორი

დარეჯან იანტელიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019*
საოპერაციო შემოსავალი	12	4,712,834	4,692,153
სულ შემოსავალი		4,712,834	4,692,153
მომსახურების თვითღირებულება	13	(2,941,434)	(3,112,916)
საერთო მოგება/ზარალი		1,771,400	1,579,237
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(550,321)	(303,607)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(1,235,976)	(1,232,298)
გადასახადები	15	(271,269)	(277,702)
სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(233,130)	(336,088)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,290,696)	(2,149,695)
საოპერაციო მოგება		(519,296)	(570,458)
არასაოპერაციო შემოსავალი		5,639	157,204
არასაოპერაციო ხარჯი		(3,175)	(90)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის (ზრდა) / შემცირება	5	(177,887)	(57,165)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(694,719)	(470,509)
მოგების გადასახადი		(364)	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(695,083)	(470,509)

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2019 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოიძე
დირექტორი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021



დარეჯან იანტბელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019*
მოგება/ზარალი		(695,083)	(470,509)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,235,976	1,232,298
უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი		177,887	57,165
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		718,780	818,954
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(9,176)	(311,764)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(106,534)	33,445
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(23,913)	29,075
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(111,809)	-
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში		(503)	1,385
ცვლილებები საგდასახადო ვალდებულებებში		(3,773)	(44,501)
ცვლილებები გადავადებულ გადასახადებში		-	(212,430)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		463,072	314,164
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფიქსირებული აქტივების (შემენა) / ჩამოწერა		(214,197)	(438,155)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(214,197)	(438,155)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში		(101,598)	101,598
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		450	1,700
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(101,148)	103,298
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		147,727	(20,693)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		74,170	94,863
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	221,897	74,170

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2019 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოსიძე

დარეჯან იანტელისძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019*
მოგება/ზარალი		(695,083)	(470,509)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,235,976	1,232,298
უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი		177,887	57,165
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		718,780	818,954
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(9,176)	(311,764)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(106,534)	33,445
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(23,913)	29,075
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(111,809)	-
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში		(503)	1,385
ცვლილებები საგდასახადო ვალდებულებებში		(3,773)	(44,501)
ცვლილებები გადავადებულ გადასახადებში		-	(212,430)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		463,072	314,164
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფიქსირებული აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		(214,197)	(438,155)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(214,197)	(438,155)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები მოკლევადიან სესხებში		(101,598)	101,598
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		450	1,700
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(101,148)	103,298
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		147,727	(20,693)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		74,170	94,863
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	221,897	74,170

* ზოგიერთი ნაწილები თანხა არ შეესაბამება 2019 წლის გამოკვეთილ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოსიძე
დირექტორი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021



დარეჯან იანტელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*	28,135,358	(13,600,573)	25,254,519	39,789,304
ცვლილება საწესდებო კაპიტალში წლის მოგება / (ზარალი)	1,700 -	- (470,509)	- -	1,700 (470,509)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	28,137,058	(14,071,082)	25,254,519	39,320,495
ცვლილება საწესდებო კაპიტალში წლის მოგება / (ზარალი)	450 -	- (695,083)	- -	450 (695,083)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,137,508	(14,766,165)	25,254,519	38,625,862

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2019 და 2018 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოსიძე
დირექტორი

დარეჯან იანტხელიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით*	28,135,358	(13,600,573)	25,254,519	39,789,304
ცვლილება საწესდებო კაპიტალში წლის მოგება / (ზარალი)	1,700 -	- (470,509)	- -	1,700 (470,509)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	28,137,058	(14,071,082)	25,254,519	39,320,495
ცვლილება საწესდებო კაპიტალში წლის მოგება / (ზარალი)	450 -	- (695,083)	- -	450 (695,083)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,137,508	(14,766,165)	25,254,519	38,625,862

* ზოგიერთი ნაწენები თანხა არ შეესაბამება 2019 და 2018 წლის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შენიშვნა 2.21-ში აღწერილი კორექტირების შედეგს.

გიორგი დეკანოზიძე
 დირექტორი

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

თარიღი: 1 ივნისი, 2021



დარეჯან იანტელიძე
 მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" ს/ნ 203829250 (შემდგომში „საზოგადოება“) დაარსდა 2000 წლის 25 სექტემბერს (რეგისტრაციის ნომერი #06/4-464). ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ფუნიკულორის ზედა პლატო. მესაკუთრე - 100% წილის მფლობელი სახელმწიფო.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ტელერადიო პროგრამების მიღება-გადაცემა; საეთერო მაუწყებლობის, რადიოკავშირების, მაღალსიხშირული მოქმედი რადიოელექტრონულ საშუალებათა და რადიოსიხშირული საკაბელო სისტემების ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების უზრუნველყოფა; დამკვეთის სიხშირულ სპექტრში ხელშეწყობის წარმოქმნის, გამომსახივებელი წყაროების გამოვლენა და ადგილმდებარეობის დადგენა; სპეციალური რადიოტექნიკური და სანიტარული გაზომვების ჩატარება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ზარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომარეობის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მოღიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- ბ) არსებობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7, ფასს 9-სა და ბასს 39-ში.

ცვლილებებს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ბ) ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- გ) ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებად - შესწორებები ბასს 16-ში;
- დ) მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- ე) წაშვებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- ვ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ზ) აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- თ) საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარის რეფორმა - შესწორებები ფასს 4, ფასს 7, ფასს 9, ფასს 16-სა და ბასს 39-ში.

კომპანია არ მოუღოს სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის 'ჩვეულებრივი გზა') დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომსახურეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდამთბობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადაში ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებულ ღირებულებას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ზანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები (გაგრძელება)

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების წყვეტს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივ ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სასარგებლო მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი „გავლითი შეთანხმება“, ხოლო ამავე დროს (ი) გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (იი) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებელი, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში მარტივად არის შესაძლებელი და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე და საბარათო ანგარიშებზე.

2.8 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.9 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსიდან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.10 ძირითადი საშუალებები

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შეფასებული რეალური ღირებულება განხილულია როგორც პირობითი საწყისი ღირებულება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტვის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწრა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზემოთ მოცემული ძირითადი საშუალებები აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება

ცვეთის განაკვეთი

შენობა-ნაგებობები	1-11 %
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	1-20 %

2.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აღიარება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.11 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიასა და მომსახურების აქტივიზაციის ლიცენზიას, რომლებიც ამორტიზირდება წრფივი მეთოდის გამოყენებით 15%-იანი განაკვეთით.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში პროდუქტისა და მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი. სავაჭრო ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ხდება მისი გადაფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.13 დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იმავე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**2.14 საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

2.15 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული სააგნარიშო პერიოდის ბოლოს მოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

2.16 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

2.17 უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ზარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 1 იანვრისთვის	2.6727	3.0597
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.18 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.19 თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შევსება და ბიულეტენი, პრემიები, და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2.20 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.21 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია / შესწორებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელშეშლისგან თავის დასაღწივად, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,084,095	1,219,922	1,864,173
სასაქონლო მატერიალური მარაგი	389,231	240,400	148,831
გრძელვადიანი აქტივები	200	200	-
გრძელვადიანი მოთხოვნები	1,055,668	1,055,668	-
სულ აქტივები	4,529,194	2,516,190	2,013,004
დაუფარავი ზარალი	(11,554,893)	2,516,190	(14,071,082)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	(11,554,893)	2,516,190	(14,071,082)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,772,331	1,162,757	1,609,574
სასაქონლო მატერიალური მარაგი	422,676	240,399	182,277
საგადასახადო აქტივი	29,074	29,074	-
გრძელვადიანი აქტივები	200	200	-
გრძელვადიანი მოთხოვნები	1,055,668	1,055,668	-
სულ აქტივები	4,279,949	2,488,098	1,791,851
საგადასახადო ვალდებულებები	48,274	29,073	19,200
დაუფარავი ზარალი	(11,141,548)	2,459,024	(13,600,573)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	(11,141,548)	2,459,024	(13,600,573)

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის (ზრდა) / შემცირება	-	(57,165)	(57,165)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(57,165)	(57,165)

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.21 შესადარისი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
მოგება/ზარალი	(413,344)	(57,165)	(470,509)
კორექტირებები:			
უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი	-	57,165	57,165
საერთო გავლენა ფულად სახსრებზე	(413,344)	-	(413,344)

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფას-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

დ) საეჭვო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ ღეფოლტი აღებატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ე) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიას საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,761	1,375	1,623
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	218,130	72,795	93,239
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6	-	1
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	221,897	74,170	94,863

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

5 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,876,065	1,924,053	1,612,289
მინუს: საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(180,603)	(59,880)	(2,715)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,695,462	1,864,173	1,609,574

საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

2019 წლის 1 იანვარი (არააუღირებული)	(2,715)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(57,165)
2019 წლის 31 დეკემბერი (არააუღირებული)	(59,880)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	57,164
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(177,887)
2020 წლის 31 დეკემბერი	(180,603)

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

6	სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
	საქონელი	447,094	333,685	375,590
	ნედლეული და მასალები	48,671	55,545	47,086
	მინუს: მარაგების ანარიცხი	(240,400)	(240,399)	(240,399)
	სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	255,365	148,831	182,277

7 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები მოიცავს ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივის შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

8	საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
	გადახდილი დღგ	771,772	683,046	406,640
	საშემოსავლო გადასახადი	(574,678)	(612,136)	(376,524)
	ქონების გადასახადი	(148,663)	(53,792)	(29,075)
	მიწის გადასახადი	(24,098)	(20,835)	(20,185)
	მოგების გადასახადი	(420)	(56)	(56)
	სულ საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	23,913	(3,773)	(19,200)

9 ფიქსირებული აქტივები

	მიწის ნაკვეთები, ნარგავები	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები, აღჭურვილობა	არამატერიალურ ი აქტივები	ჯამი
ბალანსი 1/1/2019	12,144,105	4,184,963	252,000	21,566,987	80,509	38,228,564
დანამატები	1,700	-	372,607	86,652	-	460,959
აქტივების ცვეთა	-	(58,035)	-	(1,162,070)	(12,193)	(1,232,298)
აქტივების ჩამოწერა	-	-	(19,324)	(3,479)	-	(22,803)
რეკლასიფიკაცია	-	42,959	(367,425)	324,466	-	-
ბალანსი 31/12/2019	12,145,805	4,169,887	237,858	20,812,556	68,316	37,434,422
დანამატები	450	-	214,728	98,238	-	313,416
აქტივების ცვეთა	-	(56,473)	-	(1,167,311)	(12,192)	(1,235,976)
აქტივების ჩამოწერა	-	-	(96,769)	(2,450)	-	(99,219)
რეკლასიფიკაცია	-	9,434	(103,817)	94,383	-	-
ბალანსი 31/12/2020	12,146,255	4,122,848	252,000	19,835,416	56,124	36,412,643

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
სავაჭრო ვალდებულებები	90,609	95,043	94,345
მიღებული ავანსები	4,618	687	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,227	95,730	94,345

სავაჭრო ვალდებულებები მეტწილად მოიცავს კომუნალური და საკომუნიკაციო მომსახურებისთვის გადასახდელ თანხებს.

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის განმავლობაში გაიზარდა 450 ლარით და შეადგენს 28,137,508 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 28,137,058 ლარი, 2019 წლის 1 იანვარი: 28,135,358 ლარი).

12 საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები მოიცავს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებულ შემოსავლებს, რაც 2020 წლის განმავლობაში შეადგენს 4,712,834 ლარს (2019 წელი: 4,692,153 ლარი).

13 მომსახურების თვითღირებულება	2020	2019
პირდაპირი ხელფასი	1,742,849	1,921,594
კომუნალური ხარჯები	868,769	907,348
მასალების და საწარმოო ხარჯები	94,089	53,787
მიმდინარე რემონტი	89,161	26,016
დაცვის ხარჯი	62,217	61,709
პროგრამული მომსახურება	14,825	12,838
მივლინების ხარჯები	13,094	21,435
საწვავის და ტრანსპორტის ხარჯები	11,083	13,975
სხვა ხარჯები	45,347	94,214
სულ მომსახურების თვითღირებულება	2,941,434	3,112,916

14 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2020	2019
ხელფასები	532,443	285,729
პრემიები	17,878	17,878
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	550,321	303,607

15 გადასახადები	2020	2019
ქონების გადასახადის ხარჯი	247,171	256,867
მიწის გადასახადის ხარჯი	24,098	20,835
სულ გადასახადები	271,269	277,702

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

16 სხვა საოპერაციო ხარჯი	2020	2019
ტრანსპორტის ხარჯები	113,753	166,770
კომუნიკაციის ხარჯები	44,417	44,315
საიჯარო გადასახადი	18,821	21,258
კომუნალური ხარჯები	16,372	19,124
მივლინების ხარჯები	9,720	13,236
დაზღვევა და სხვა სარგებელი	6,047	4,209
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	4,761	3,707
საბანკო ხარჯები	4,590	5,567
მიმდინარე რემონტი	2,458	6,078
საკანცელარიო ხარჯები	1,280	1,665
სხვა ხარჯები	10,911	50,159
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	233,130	336,088

17 პირობითი ვალდებულებები

17.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მოუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17.2 მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით სასამართლო დავა აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული დავალიანების დაკისრების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, დავალიანება ხანდაზმულია და დიდი ალბათობით სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, არ არსებობს იმის მოლოდინი, რო კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი მიაღებავს სარჩელ(ებ)ის გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მოღიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

18.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
ფული და ფულადი ეკვივალენტები	218,136	72,795	93,240
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,695,462	1,864,173	1,609,574
სულ ფინანსური აქტივები	1,913,598	1,936,968	1,702,814

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

18.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

18.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	221,897	-	-	221,897
დებიტორული დავალიანება	1,695,462	-	-	1,695,462
სულ ფინანსური აქტივები	1,917,359	-	-	1,917,359
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,227	-	-	95,227
სულ ფინანსური ვალდებულებები	95,227	-	-	95,227
ლიკვიდურობის პოზიცია	1,822,132	-	-	1,822,132

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	74,170	-	-	74,170
დებიტორული დავალიანება	1,864,173	-	-	1,864,173
სულ ფინანსური აქტივები	1,938,343	-	-	1,938,343
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,730	-	-	95,730
სულ ფინანსური ვალდებულებები	95,730	-	-	95,730
ლიკვიდურობის პოზიცია	1,842,613	-	-	1,842,613

18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

18.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	94,863	-	-	94,863
დებიტორული დავალიანება	1,609,574	-	-	1,609,574
სულ ფინანსური აქტივები	1,704,437	-	-	1,704,437
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	94,345	-	-	94,345
სულ ფინანსური ვალდებულებები	94,345	-	-	94,345
ლიკვიდურობის პოზიცია	1,610,092	-	-	1,610,092

18.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას არ აქვს საპროცენტო რისკის მატარებელი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

18.4 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან კომპანიის ოპერაციები სრულად ზორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

19 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

19 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი	2020	2019
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	1,911,097	1,737,270
ზარჯი	2020	2019
სხვა დაკავშირებული მხარეები	86,303	82,269
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასი და პრემია	168,805	175,470
მოთხოვნების ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სხვა დაკავშირებული მხარეები	8,716	4,612
სავაჭრო ვალდებულების ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სხვა დაკავშირებული მხარეები	7,209	7,274

20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით. კომპანიას ხელმძღვანელობა არ მოელის არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან. საანგარიშგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. კომპანიის შიგნით საშუალები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომები და რეკომენდაციები. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2021 წლის 13 აპრილის ბრძანების საფუძველზე კაპიტალიდან ამოღებულ იქნა შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ღირებულება აუდირებული დასკვნის თანახმად შეადგენს 52,000 ლარს, ხოლო საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 9,056 ლარს.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ფინანსური მდგომარეობა

ლარში

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	221897	74170	94863
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები	0.00	0.00	0.00
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.00	0.00	0.00
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური აქტივები	0.00	0.00	0.00
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0.00	0.00	0.00
გადახდილი ავანსები	111809	0.00	
გაცემული სესხები	0.00	0.00	0.00
სესხების გაუფასურების ანარიცხი	0.00	0.00	0.00
მიმდინარე მარაგები	255365	148831	182277
გრძელვადიანი მარაგები	0.00	0.00	0.00
სავაჭრო მოთხოვნები	1695462	1864173	1609574
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	0.00	0.00	0.00
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	0.00	0.00	0.00
საინვესტიციო ქონება	0.00	0.00	0.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0.00	0.00	0.00
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	0.00	0.00	0.00
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			



[Handwritten signature in blue ink]

[Handwritten signature in blue ink]

გადავადებული პგეზოს გადასახადის აქტივი	0.00	0.00	0.00
სხვა საგადასახადო აქტივი	23913	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0.00	0.00	0.00
სხვა მიმდინარე აქტივები	0.00	0.00	0.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	36412643	37434422	38228564
გუდვილი	0.00	0.00	0.00
სხვა არამატერიალური აქტივები	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებები	0.00	0.00	0.00
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	0.00	0.00	0.00
სულ აქტივები	38721089	39521596	40115278
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0.00	0.00	0.00
გამოშვებული სავალო ფასიანი ქარაღები	0.00	0.00	0.00
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0.00	0.00	0.00
სავაჭრო ვალდებულებები	95227	95730	94345
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	3773	19200
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	0.00	0.00	0.00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0.00	0.00	0.00
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	101598	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	212429



[Handwritten signature]

[Handwritten signature]


შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0.00	0.00	0.00
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0.00	0.00	0.00
მიღებული გრანტები	0.00	0.00	0.00
სუბორდინირებული სესხი	0.00	0.00	0.00
გასაყიდად გამოწვდილ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
სულ ვალდებულებები	95227	201101	325974
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	28137508	28137058	28135358
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)	0.00	0.00	0.00
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0.00	0.00	0.00
წილობრივი გადახდის რეზერვი	0.00	0.00	0.00
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	25254519	25254519	25254519
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-14766165	-14071082	-13600573
სხვა რეზერვები	0.00	0.00	0.00
სულ საკუთარი კაპიტალი	38625862	39320495	39789304
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	38721089	39521596	40115278
	2308446	2087174	1886714
	95227	201101	325974



საქმიანობის შედეგები

ლარში

	31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	4712834	4692153
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2941434	-3112916
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	0.00	0.00
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0.00	0.00
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-550321	-303607
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-4761	-2938
საკონსულტაციო ხარჯი	0.00	0.00
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-271269	-277702
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0.00	0.00
კომუნალური და საკუმუნიკაციო ხარჯები	-60789	-69881
იჯარის ხარჯი	-18821	-21258
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-113753	-165319
ცვეთა და ამორტიზაცია	-1235976	-1232298
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-35006	-76692
საოპერაციო მოგება	-519296	-570458
გაუფასურების(ხარჯი)/რევერსირება:		
გაცემულ სესხებზე	0.00	0.00
სავაჭრო მოთხოვნებზე	0.00	0.00



Handwritten signature

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე	0.00	0.00
სხვა ფინანსურ აქტივებზე	0.00	0.00
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქარაღებიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება (ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	0.00	0
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	0.00	0
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან	0.00	0
გაუფასურების(ხარჯი)/რევერსირება სხვა აქტივებზე	0.00	0
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან	0.00	0



[Handwritten signature]

მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0.00	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0.00	0
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	0.00	0
სხვა ფინანსური შემოსავალი	5639	157204
სხვა ფინანსური ხარჯი	-181062	-57255
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0.00	0
მიღებული დივიდენდები	0.00	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	0.00	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-694719	-470509
მოგების გადასახადი	-364	0
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-695083	-470509
შეწყვეტილი ოპერაციები	0	0
მოგება/(ზარალი)	-695083	-470509
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი):		
შემდგომი რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/ გათვალისწინებით):		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან	0.00	0
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში	0.00	0
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი	0.00	0
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:	0.00	0
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი	0.00	0



Handwritten signature in blue ink.

ქალაქების გადაფასების რეზერვში		
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების წილი	0.00	0
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი	0.00	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0.00	0
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0.00	0
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	-695083	-470509
საბაზისო/(ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან	0.00	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0.00	0
გაზაფხული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან	0.00	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0.00	0



Handwritten signature in blue ink.

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	463072	314164
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-214197	-438155
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-101148	103298
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	0.00	0.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	147727	-20693
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში	74170	94863
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	221897	74170



[Handwritten signature in blue ink]

[Handwritten signature in blue ink]

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი" კოლონეტის შემთხვევაში საპრო კაპიტალი)	დამატებითი შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-ს შემთხვევაში)	გამოსყიდული საკუთარი აქციები	წლიადობრივი გადახდის რეზერვი	რეალიზებული ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი/მოგება/ზარალი	სხვა რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის -2018 წელი	28135358	0.00	0.00	0.00	25254519	-13600573		39789304
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის -2018 წელი	28135358	0.00	0.00	0.00	25254519	-13600573		39789304
მოგება/(ზარალი)		0	0	0	0	-470509		-470509
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	0	0	0	0			
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	-470509		-470509
ახალი აქციების გამოშვება(შპს-ს შემთხვევაში აკაპიტალის გაზრდა" კოლონეტის შემთხვევაში "საპრო კაპიტალის გაზრდა")		0.00	0.00	0.00	0.00			
წლიობრივი გადახდის საფუძველზე გარდამავალი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალი" კოლონეტის შემთხვევაში "საპრო კაპიტალი")	0	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		0
წლიობრივი გადახდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		
საუწყებლო აქციების								
შეყიდვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		



Handwritten signature in blue ink.

გაყიდვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00				
საწარმოთა გაერთიანება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0	0.00			0
დღევინდის გამოცხადება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
სხვა	1700	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			1700
ნაშთი საანგარიშებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2019 წელი	28137058	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	25254519	-14071082			39320495
ახალი ან განახლებული სტანდარტებია მიღების ეფექტი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0			0
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2020 წელი	28137058	0	0	0	0	0	0	0	25254519	-14071082			39320495
მოგება (ზარალი)	0	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0	-695083			-695083
სხვა სრული შემოსავლი (ზარალი)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0	0.00			
მილიანი სრული შემოსავალი(ზარალი)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	-695083			-695083
ახალი აქციების გამოშვება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
წილობრივი გადახდის საფუძვროზე გაზრდილი საპაციო კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
წილობრივი გადახდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
საკუთარი აქციების;	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
შესყიდვა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0	0.00			0
დღევინდის გამოცხადება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00			
სხვა	450	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0				450
ნაშთი საანგარიშებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2020 წელი	28137058	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	25254519	-14766165			38625862

Wetzel

